ერი და სახელმწიფო

ადამიანის წინაშე ისმის გაცნობიერებულითუ გაუცნობიერებელი კითხვა: ვინ ვარ მე? და ადამიანი მთელი თავისი ცხოვრებით და სიკვდილით პასუხობს ამ კითხვაზე. ასევე ერის წინაშე დგას კითხვა: ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რა მიზანი აქვს ჩვენს არსებობას. ეს კითხვები დგას ქართველობის წინაშე და ძნელად მოიძებნება ხალხი, რომელიც იმდენს ფიქრობდეს საკუთარ თავზე, თავის წარსულზე, განსაკუთრებით ამ აქტუალურ ხანაში, რამდენსაც ქართველობა ფიქრობს. ეროვნულობა ერთ-ერთი ძლიერი გრძნობაა, არა მხოლოდ გრძნობა, რომელიც ინდივიდუალურად არსებობს ყოველ ადამიანში, არამედ ღრმა ისტორიული გამოცდილება, ხშირად განსაცდელიც. ის საყოველთაო ზეპიროვნული განცდაა და აერთიანებს ინდივიდებს. ის სასინჯი ქვაც არის, ის შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც საშუალება რომელიმე მასზე უდარესი მიზნის მისაღწევად. ის აერთიანებს ინდივიდებს, მაგრამ განწვალავს კაცობრიობას. ამ განწვალებას ბიბლიური ცნობილი ეპიზოდის თანახმად (სხვა უფრო დამაჯერებელი ახსნა ერების წარმოშობისა არ ჩანს), ბაბილონის გოდოლთან მიეცა დასაბამი. დასაბამი მიეცა განსხვავებული ენების წარმოშობას, რამაც ერთმანეთისგან გააუცხოვა ერთიანი კაცობრიობის ჯგუფები. თუმცა კაცობრიობის ერთიანობა დაირღვა, სხვაობამ უცხოობა და მერე მტრობა გამოიწვია (სხვა-უცხო-მტერი) და ხალხების ხსოვნაში თითქმის წაიშალა დასაბამიერი ერთიანობის შეგნება, რაც ადამის ინტეგრალური პიროვნების დაცემის ტოლფასი იყო, მაგრამ უკვე წარმოშობილს, რა მიზეზსაც არ უნდა გამოეწვია იგი, უნდა დაეკავებინა თავისი კანონიერი ადგილი რეალობათა იერარქიაში (ადამიანი, გვარი, ტომი, ეთნოსი, ერი...). მიზეზი იყო ჯანყი ღვთის წინააღმდეგ, შედეგი კი სასჯელი. სასჯელი ნეგატიური მოვლენაა, მაგრამ მას დადებითი მნიშვნელობა უნდა შეეძინა. სირიელი საეკლესიო მწერალი იაკობ სარუგელი (VI-VII სს.) წერს: "ენებად განაცალკევა ისინი, ტომებად დაჰყო. მაგრამ ნახე, ეს ხომ ნიჭია, რომელიც ღმერთმა სასჯელის სახელით უწყალობა მათ... ბრძენმა მოძღვარმა განასწავლა ისინი ენებში, გაუნაწილა და მისცა ყოველ ხალხს თავისი საკუთარი ენა... დიდი სიმდიდრე გადმოუღვარა მათ გასაჭირში და ფასდაუდებელი ცოდნით განასწავლა ისინი. აჰა, მათი სასჯელი სამკაულად შეექნა მთელს ქვეყნიერებას... მოწყალება მოიღო ბაბილონელებზე და გაამდიდრა ისინი ენებით, როგორც ოქროთი..."

კაცობრიობის არსებობა განცალკევებულ ერებად ადამის სიმდიდრეა, მაგრამ ამ განცალკევებას არ უნდა ჰქონოდა თავისთავადი აბსოლუტური ღირებულება, მისი ონტოლოგიური, არა მხოლოდ სუბიექტური (როგორიც არის სამშობლოს სიყვარული) ღირებულება კი უდავოა. ერებად დაყოფა თითოეულ ერს აძლევს შანსს საკუთარ, მხოლოდ მისთვის არჩეული გზაზე გავლით კვლავ ჰპოვოს უნივერსალური, რომელიც ჟამთასვლაში დანდათან დაიკარგა, და ამ უნივერსალურამდე აიტანოს ყველაფერი ღირებული, რასაც ის თავის

უნიკალურ გზაზე ჰპოვებს. ის, რაც სხვადასხვა ხალხებშია განაწილებული, კვლავ გამთლიანებას ელის. გაუცხოებული გზები, საბოლოოდ, კვლავ ერთად უნდა შეიყაროს. ყველა გზა გოდოლთან მიდის. როგორც დაცემულმა ადამმა ბოლომდე, შესაძლოა, უკიდურეს გაუცხოებამდეც კი, უნდა გამოსცადოს თავისი გზა, რომ ისევ მოიპოვოს თავისი თავდაპირველი სახე და რაღაც იმაზე მეტი, რასაც გამოცდილება, თუნდაც განსაცდელი, მოიტანს, ასევე კაცობრიობამ ბოლომდე უნდა გაიაროს ისტორიული პროცესი ამ დანაწევრებულ მდგომარეობაში, რომ კვლავ დაუბრუნდეს გოდლამდე არსებულ მდგომარეობას, როცა იყო ერთი ენა და ერთი სიტყვები, მაგრამ აღდგენილი ეს ერთი, მრავალი გამოცდილებით იქნება გამდიდრებული. ღირებულია არა ერი, როგორც განცალკევებული ფენომენი თავისთავად, არამედ მხოლოდ ის, რაც მას შეუძლია შესძინოს კაცობრიობას და ამ "რაღაცის" ღირებულება აბსოლუტური ბუნებისა იქნება. ამდენად, მისი, როგორც ეროვნული ინდივიდუალობის, გამართლება ისევ და ისევ კაცობრიობაშია, ადამშია, საიდანაც ის გამოვიდა და რომლის დვრიტასაც ატარებს. მისი მიზანი ამიერიდან არის აბსტრაქციად, თითქოს ფანტომად და უშინაარსო ცნებად ქცეული კაცობრიობის გაცოცხლება, მისთვის კონკრეტული, რეალური არსებობის მინიჭებაა. ეს გზა ადამის დარღვეული ცნობიერების რეინტეგრაციის ანალოგიურია და ამავე ამოცანას ემსახურება. მთელი მომავალი ამ სამსაფეხუროვანი რეალობის - ადამიანის (პიროვნების), ერისა და კაცობრიობის - ერთიანობაშია.

ეროვნულობის ფენომენი, მისი ძირი, საიდუმლოებრივია, ამიტომაც მის წარმოშობას მითოსური სახე აქვს და იქნებ მისი ჭეშმარიტი საზრისი არა ისტორიის მსვლელობაში, არამედ მის დასასრულს გაცხადდეს, მაშინ, როცა ისტორიის მიზანი გამოჩნდება. თუმცა ერებს, ხალხებს, აქვთ ზეციური მფარველობა, ჰყავთ ზეციერი პატრონი, ეროვნული იდენტიფიკაციის შენარჩუნება მაინც მთლიანად ადამიანთა არჩევანზე და ნებაზეა დამოკიდებული. ადამიანები გადაწყვეტენ თავიანთ კუთვნილებას ამა თუ იმ ეროვნული ერთიანობისადმი და ერიც, როგორც კრებითი (რომ არ ვთქვათ, კოლექტიური) ინდივიდუალობა, იარსებებს მანამდე, სანამ მისი ეროვნული ენერგია არ დაიშრიტება, სანამ მისი ეროვნული ნება მოითხოვს დარჩეს იმ ერთიანობად, როგორადაც ისტორიულ პროცესშიჩამოყალიბდა. ვერ დაიფარავს მას ვერ "გენები", ვერ მფარველი ანგელოზი, ვერც ღვთისმშობელი, ვერც წმიდა სამება.

ჩვენში ხშირად ლაპარაკობენ ეროვნულ გენებზე. ეროვნების გენოფონდზე, თითქოს ყველაფერი, რაც ქმნის

მის განსაზღვრულობას, ბიოლოგიურ სუბსტრატში იყო მოცემული გენების სახით. აი, ტიპიური ფორმულა, რომელიც სხვადასხვა ვარიაციებით გადადის ერთი "ეროვნული ნააზრევიდან" მეორეში: "ქართველებმა ის ღვთიური კი ყველაზე მეტად შევინარჩუნეთ სწორედ ჩვენი სარწმუნოების წყალობით. ამიტომ ვერ დაგვავიწყა მტერმა ჩვენი ვინაობა..." ზ.კვერცხიშვილი ამავე კრებულში (იხ. "ერი და ეროვნული მენტალობა", გვ.) გაკვრით აღნიშნავს უკანასკნელ ხანს მომძლავრებულ ტენდენციას "გენის" პირდაპირი ანუ ბიოლოგიური, არა მეტაფორული შინაარსით ხმარებისა ტრადიციის ერთიანობის კონტექსტში, ჩვენ კი დავძენთ, ამ ბიოლოგიური ცნების მოშველიებით ბიოლოგიურ დეტერმინიზმამდე (დეტერმინიზმის, შესაძლოა, უკიდურეს გამოვლენამდე)

დაგვყავს ერის არსება. თუ ერის განმსაზღვრელი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული გენური კოდია, მის ქმნადობას საფუძველი ეშლება და ადამიანის პიროვნების აქტივობასაც ამ ქმნადობაში ზედმეტი ყოფილა. თუ ეროვნულობა იმთავითვე დასაზღვრულ-დეტერმინებულია, ჩვენი ვინაობაც სიცოცხლის გაჩენისთანავე საიმედოდ ყოფილა დაცული ბიოლოგიურ დონეზე, რისი მართვაც ჩვენ არ შეგვიძლია. და თუ ვერ ვმართავთ, პასუხისმგებლობაც მოხსნილი გვაქვს. მაგრამ ადამიანი იმისთვის არ გაუჩენია ღმერთს, რომ იგი ყოფიერების ბიოლოგიურ პლანს დაემორჩილოს.

ჩვენ უნდა ამოვიდეთ ეროვნულობის, როგორც კულტურული მოვლენის, პოზიციიდან. ეროვნულობა, რომლის ძირითადი ნიშანი მატერიალურ-სულიერი კულტურაა, ძირითადად სულიერი მოვლენაა და არა ბიოლოგიური. ბიოლოგიზმამდე, "გენურ კოდამდე" დაყვანით ჩვენ ვაკნინებთ ეროვნულობის, მისი კულტურის ღირსებას და ღირებულებას. თუ არსებობს, პირობითად ვამბობ, რაიმე "გენური" ელემენტი კულტურაში, ის იმგვარად იქნება გარდაქმნილი, რომ მას არავითარი კავშირი ბიოლოგიურ შრესთან არ ექნება. ყოველი კულტურა ბუნების გარდაქმნის შედეგია, ეროვნულობა კი კულტურის კატეგორიას ეკუთვნის.

უნდა გაინირჩეს ეთნიური შეგნება ეროვნული შეგნებისაგან. ეს რადიკალურად განსხვავებული დონეებია ყოფიერების იერარქიაში. ეთნიური შეგნება თავის ერთიანობას და იდენტიფიკაციას სისხლზე ამყარებს და ის ამის გამო წარსულისკენ არის ორიენტირებული (სისხლი მამაშია, ხოლო მამის აქტი წარსულშია განხორციელებული). მაგრამ თუ ეთნოსს სურს გახდეს ერი ან ის მომწიფებულია ერად გარდასაქმნელად, მან უნდა უარყო სისხლი (ბიოლოგიური მახასიათებელი) და თავისი თავი დააფუძნოს სულიერ კატეგორიებზე, როგორიც არის კულტურა, მიზანი და სხვა. მან უნდა შეცვალოს ორიენტაცია - წარსულიდან მომავლისკენ გადაანაცვლოს. ერი და სახელმწიფო ერთი სინამდვილის კატეგორიებია. წარსული, ისევე როგორც ეთნიურობა, მხოლოდ მასალა შეიძლება იყოს სახელმწიფოს ასაშენებლად, ყოველი შენება კი მომავლისკენ არის მიმართული. სახელმწიფო შენდება ქვეყანაში მცხოვრები ხალხების სამომავლოდ ერთად ცხოვრების და საერთო მიზნის საფუძველზე. საქართველოს მიწაზე არა შეიქმნება ერთიანი ძლიერი სახელმწიფო , სანამ მისი მცხოვრებელთა ურთიერთობაში და ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებაში გადამწყვეტ ფაქტორად საერთო სისხლი და ეთნიური ფაქტორი იქნება გადამწყვეტი.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ეროვნულ თვითშეგნებაზე და ეროვნულ იდეოლოგიაზე, სინამდვილეში ლაპარაკი ეთნიურ (სისხლისმიერ) თვითშეგნებაზე და ეთნიურ იდეოლოგიაზე ლაპარაკი გამოგვდის. "ეროვნულით" გვსურს გამოვხატოთ ის რეალობა, რასაც ამერიკაში ან საფრანგეთში სიტყვა ნატიონ გამოხატავს, მაგრამ მაგრამ ეთნიზმით შეფერადებული "ეროვნული" ვერ მოიცავს ამ უკანასკნელის მნიშვნელობას. ნათიონ იურიდიული ცნებაა და ნიშნავს როგორც იმ ხალხს, ადამიანების კრებულს, რომელიც შეადგენს პოლიტიკურ ერთობას, ცხოვრობს გარკვეულ ტერიტორიაზე და გაერთიანებულია ერთი ხელისუფლების ქვეშ, ისე სახელმწიფოს (ეტატ, პაყს, პუისსანცე). ამ კონტექსტში ნათიონ, ნათიონალ დაცლილია ეთნიური ნინუანსისგან.

როცა ჩვენ ვქმნიდით ცნება-დასახელებას "ეროვნული ბიბლიოთეკა", "ეროვნული სტადიონი" და სხვა მისთანანი, რას ვგულისხმობდით ამით? იმას, რომ ეს ბიბლიოთეკა, ეს სტადიონი ქართველობას ეკუთვნის? ეს უკუღმართად გადმოღებული კალკია. ნატიონალ ამ ენის მატარებელ ქვეყნებში სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა "სახელმწიფოს". ჩვენ გავექეცით შესიტყვებას "სახელმწიფო ბიბლიოთეკა", "სახელმწიფო სტადიონი", რომელსაც უნდა გამოეხატა "კერძოს", "პრივატულის" საპირისპირო. საბჭოთა სახელმწიფოს შიშით უკუვაგდეთ ეს ტერმინი. ტერმინს სახელმწიფოებრივი შეგნებაც გადავაყოლეთ. ეს სიმპტომატურია ჩვენს აქტუალურ ხანაში. ამ ეთნიური შეგნებით გადავდივართ ოცდამეერთე საუკუნეში. ამ ეთნიური შეგნების პრევალირების სიმპტომია დღეს მწვავედ (და ხელოვნურად) წამოჭრილი პრობლემა ეროვნულობის გრაფის შესახებ, თითქოს ეროვნება სამართლებრივ კატეგორიას ეკუთვნოდეს, რომ მისი აღნიშვნა იურიდიულ დოკუმენტში დასაშვები იყოს.

დღეს საქართველოში არსებობენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომელთაც ბოლომდე არა აქვთ გააზრებული, თუ როგორი სახელმწიფო შექმნაა შესაძლებელი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენში არ არის დაძლეული, შეიძლება უარესიც, ახლა ძლიერდება პოლიტიკური ეთნიზმი, რომელსაცხალხის გაუცნობიერებელი, ფსევდოპატრიოტული მასის განწყობილება უდევს საფუძვლად. და რაც უფრო პრიმიტიული და ზერელეა ეს ცრუპატრიოტიზმი, მით უფრო გადამდებია იგი. ბევრი ამ "მომგებიან" ტალღაზე ეროვნულ-პოლიტიკურ კარიერას იკეთებს.

ბევრს ეთნიური სიჭრელე, რომელიც საქართველოს ისტორიას გასდევს საუკუნეებში ("და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა...") და ასეა დღემდე, ღვთის სასჯელად და ქართველობის სისუსტედ მიაჩნია. მაგრამ ეს სიმდიდრეა. ამას გაცნობიერება სჭირდება. ქართველობა, როგორც ეთნიური ინდივიდუალობა ამ "სიჭრელეში" გამოიკვეთა ერად. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართველი ერი (ნათიონ) მხოლოდ ქართველობით არ ამოიწურება. ის სცილდება მის ფარგლებს და, თუ ქართველობა ძირითადია და მისი სახელით იწოდება ქვეყანა, სახელმწიფო, ეს არ უნდა გავიგოთ ტრივიალურად პრივილეგიად, არამედ მასში მხოლოდ პასუხისმგებლობა და კულტურულ-პოლიტიკური მოვალეობა უნდა დავინახოთ.

ჩვენი დაცემის პერიოდმა (XV-XVIII სს.) XIX საუკუნეში მოიტანა ის, რომ ჩვენ დავიწყეთ ცხოვრება, როგორც ეთნოსმა, საიდანაც უნდა აშენებულიყო ერი. ეთნიური შეგნება ეროვნულ შეგნებად გარდაქმნილიყო. ამისათვის გვჭირდებოდა წარსულის გახსენება, წარსულის პატრიოტიზმი. მთელი პროპაგანდა ქართველობის გასაღვიძებლად იყო მიმართული და არა სახელმწიფოებრივი შეგნების ერად ჩამოსაყალიბებლად. დღეს ეს უკანასკნელი ამოცანა დგას. ამ ამოცანით უნდა შევიდეთ მესამე ათასწლეულში.

12 ივნისი, 2000 წ.